№ 1 ოქტომბერი. ფასი 1 კაპ.

კიკნა საოხუნჯო ალმანახი

არჩევან-არედანი

№ 010

გამოვა დროგამოშვებით მაშინ, როცა მის გამოსვლას არაფერი დაბრკოლებს. რედაქცია იმყოფება ქუთაისს ჯაჯავაძის ქუჩაზე ხარაზოვის სკულ სახლში, ოზურგეთში—ნ. მაქ. ლლონტის სახლში (მოდახსხე) თბილისში--ორთაჯალაში. რედაქტორისა მის თანამშრომელთათვის ყველგან უზრუნველი ბურის ჯამა და სახელმწიფო ხარჯით და მცველით ჩრდილოეთ რუსეთის დათვალიერება. (,,იმერეთ-კოლხიდურაო'' დამთვალიერება.) ალმანახის ფასი ერთი ბლიკვი, ორი შუკლუგუნი

ალმანახის მცნებაა: ,,შენი სვი და შენი ჯამე ჩემსაც ჯვარი დამაწერე''.

კიკნა მეთაური. ქუთაისი 17 ოქტ.

დღევანდელი დღე რუთეთის ისტორიაში ისტორიული დღეა. დღევანდელი დღე გადარჩენისა და ხიფათისაგან თავის დახწვის დღეა. დღევანდელ დღეს სხვათა შორის ,.სასწაულებრივ'' გადარჩა განხორციელებას 17 ოქტომბრის მანიფესტი. დღევანდელ დღეს ფიქრობენ ფედერალისტები გათეთრებისაგან გადარჩენას. დღევანდელ დღეს შეესია ფედერალისტთა ზუბრებთა და სამღვდელოების ბრბო იმ ყანას ასაღებათ (სამკალათ) რომლის გაკაფვა—დახნვა—დათესვა—გამარგლის დროს ტკბილათ ეძინათ ან მწვანე სტოლის გარეშემო ბაქარა-ფრაპს—დავდავბასეს შეექცეოდენ. (ზოგიც კიდევ, მაგრამ არავის უფრთხრათ, ვარლამ ჭილაძის მეტს ,,სოციალისტურ'' დანოსებს სწერდენ). დიახ, დღეს 17 ოქტომბერს, უნდა გამოჩნდეს ვის ემხრობა ხალხი, ღვიძლ დედებს თუ დედინაცვლებს—ცნობილ მათ მიერ ორჯერ გათეთრებულს ნდობა დამსახურებულ ხალხურ გმირ, გეგეჭკორს თუ პამბულა თავად კიტას. გეგეჭკორი და გეგეჭკორისტები ეყრდობიან ხალხს აქვთ მათი იმედი ცდილობენ მათ გათვითცნობიერებას—ის ,,ხალხის შვილი ხალხის მოძმე'' კიტა და კიტისტები ხალხს ეძახის შეუგნებელ ბრბოს, რომელსაც ცხვრის ჯოგსავით, მათი აზრით კიდეც აბლავლებენ და სითაც ესურვებათ გარეკენ. მაშასადამედღეს ხალხმა უნდა დაამტკიცოს რომ ბრბოა არ არის, ის შეგნებულია და რაც ამდენხანს კიტისტებმა კრიჭეს იმ მატყლსაც არ შეარგებს. დიახ. გეგეჭკორისტების გათეთრებით დღეს ხალხი დააადასტურებს იმას რომ ის (ამრჩეველი) 4 ამ თვეს მერმედ არ შეცვლილა, თავის პოზიციაზე მაგრათ სდგას, ვერც ვერავინ შეაშინა და ვერც ვერავინ მოიყიდა. მართალია, შეიძლება ამას საშიშარი ცოდვა მოყვეს, გრამატიკოს-პედაგოგს სილოვან ხუნდაძეს ხუთი გრადუსი სიცხე კიდევ მოემატოს, (და ამ რიგათ 50 გრადუსი გაუხდეს) აკაკისთან ერთად თვით კიტაც მაიმუნ გელდათ მოეჩვენოს, მაგრამ, მაგრათ მოქალაქენო, ,,ტილო და ძმარი, ძმარი და ტილო'' მაგის მეტი სამჯავროც ნუ მოგცათ ღმერთმა. მაშ ასე ,,**შავი ქვის**'' პატრონებს რომ შავი კენჭები დაუხუროთ **და** კუპრით მიერ ნათელ ღებულნი, **ისევ** თავიანთ სოროში მივაბრძანოთ, **ახი და** მართებული იქნება.

ვამცემლობის კვირიაკე

——

წარსული კვირიაკე ნამდვილი ,,გამ-
ცემის'' კვირიაკე იყო: ჯერ იყო და
ჩვენ სცენაზე ითამაშეს გედევანიშვილის
დრამა ,,გამცემი''. წინ დღით ხმა დავ-
არდა, რომ ცნობილ დრამატურგის დრა-
მას, ბევრით სჯობია ვარლამ ჭილაძის
მიერ შეთხზული ,,გამცემიო'' გედევანი-
შვილის გამცემი თუ მარტო დრამატიულ-
მა საზოგადოებამ მოიწონა სამაგიეროთ
ჭილაძის ,,გამცემიც'' კომისიის მიერ მოწო-
ნებულია რომელსაც მ. ჟდანოვიჩი (ყოფილი
მაიაშვილი) თავმჯდომარეობდა. დარწმუ-
ნებით ამბობენ ახალი ქუთათური ,,გა-
მ(.ემი'' მთელ ,,შეგნებულ საქართვე-
ლოს" მოეწონებაო. ხმები დადის რომ
ჭილაძის ,,გამცემს'' პირველად განიხი-
ლავს სამაზრო და შემდეგ საგუბერნიო
სადანოსო კომისიაო.

იმავე კვირაში ერთი ,,გამცემი''
ეპისტოლე შეთხზა ლეჩხუმელმა ,,შეგნე-
ბულმა'' გლეხმა ბ-ნმა სამსონ ფუი—ძემ
ეს შეგნებული გლეხი შეგნებულად მუ-
ხის ქვეშ გამოძღა და მერმე მის მარჩე-
ნალ მუხის ძირს თხრა დაუწყო მოგა-
ხსენებენ დინგის გასალესი ქლიბი ფედე-
რალისტებმა მიაწოდესო.

ქუთათური ,,მამულიშვილური გამ-
ცემლობა'' ამითაც არ თავდება—ორმა
ქუთათურმა მიკიტანმა მაჭარაძემ და ბახ-
ტაძემაც საზიზღარი ,,გამცემლობა'' იკი-
სრეს მართალია ეს გამცემლობა ისე
,,შეგნებულად'' არ იყო, როგორც ჭი-
ლაძისა და ფრუ-ძის მიერ შეთხზული
მაგრამ ჩვენ მაინც მეტი სახელი ვერ
მოვძებნეთ. და ვისაც ამ ,,ეროვნული''
მიკიტნების გამცემლობა ეჭაშნიკება
ვსთხოვთ წაიკითხოს მათ მიერ დღევანდე-
ლი №-ში მოთავსებული განცხადება.

ფელეტონი

(ვითომ ლექსი)

ხმა გავრცელდა ქუთაისში,
გასაგონათ საშიშარი,
რომ საომრად დარაზმულან
ესფერების მთელი ჯარი.

—

სილოვანი წინ მოუძღვის,
ხელში ტუკი უჭერია;
ცაცა ფაიტონით მიქროს,
შეხეთ, შეხეთ რაფერია!

—

ბუბნის კაროლს მოგვგონებს,
მისი ფერი იერია;
ერთ ღამეს კარტში წააგებს,
მას რომ დარჩეს ივერია.

—

ვასო ბ(ჟანეიშვილი,
ღორების[1]) კონკურენტია;
სიბინძურე სიბინძურეს
ავრცელებს—არ დამხვეტია.

—

ბონდოს ნაფოტი ამშვენებს,
და ბანკის ,,აცენჩიკობა;
პატრონი ყავდეს ღმერთმანი,
უნდა მის ტვინს ,,პაჩინკობა

—

მისი ჰარალეთ შესამა,
სხვისას ვარალეთ აფასებს;
გაიძვერ-გაძვერიაში.
ბანძელებსაც გააფასებს.

—

გრიშას რაღა ქება ~~უნდა~~,
თვით იცნობთ ~~ნიჟარაძესა~~,
ბონდოს ~~ეტრ~~ ეს ჩამორჩება,
~~თუ~~ ცხრიანი სწყალობდესა.

—

რკინის ვაჭარი გორდაძე,
რკინის შუბლა მაგარია;
მახარაძე მისი მოძმე,
იგიც მასებრ ვაჭარია.

[1]) ღორები—იგი სანიტარები.

—

ქვარიანი ვლადიმირის,
იყო ერთგული ფინია;
,,ქალწული ქალის ფშვიადით''
მასაც აშლია ჟინია.

. . . . . .

ასპიტი.

(შემდეგი იქნება)

ფედერალისტების სიმღერა.

——

შენი ჭირიმე „დანოსო“
ორივე პირით მჭრელი ხარ;
სხვისთვის თუმც საზიზღარი ხარ,
მაგრამ დღეს ჩვენთვის—ძხსნელი ხარ.

——

ვინც შენ პირველათ მოგმართია,
ბრძენი ყოფილა ბრძენზედა;
ახლა რომ თვალით გვაჩვენა,
ვეამბორებით ხელზედა!

——

არ დაგივიწყებთ არასდროს,
როს გაჭივრება გვეწვევა;
მტერი რას გვაწყენს, ვიდრემდე
ჩვენ შენი მადლი გვეწევა!

?

პეტრე ყიფიანს და ვარლამ ჭილაძეს

——

ორი თხა გყავდა ბელაო,
ზურგზე გადეგდოთ ენაო,
მათმა ნაჯლაბნმა ,,დანოსმ.''
ქვეყანა გააჯერაო,
მაგრამ ჯერ მაინც ესდეკნი
ვერ ჰოიგეთ ვერაო!

?

დეპეშები

——

(პეტრე ჭორაძის საგენტო)

ფოთიდან—**ოდანოვიჩს.**

დარწმუნებული ყოთ საქმეს ქუთაითურა მოაკვარახჭინებთ პირველი არჩევანი უნდა გაუქმდეს—მეორე არ უნდა დაინიშნოს, სულ ერთია კიდევ ჩაგვშავებენ. საჩივარი წინანდელი რიცხვით უნდა აღიძრას. გული სიხარულით აგვევსო როცა გავიგეთ, რომ გრიგორ გველესიანთან გავლენიანი მდგური 1) სდგასო—მისი წყალობით მიზანს მივახწევთ.

მიხა ესაკია.

ქუთაისიდან ფოთში, მიხა ესაკიას.

ურა, ურა! საქმე ბრწყინვალეთ გათავდა, ესდეკებს ორი ამრჩევლით ნაკლები ყავთ.

ყორუ.

ქუთაისიდან ტფილისში არჩილ ჯორჯაძეს.

დღეს, 17 ოქტომბერს, საკათედრო საკრებულო ტაძარში საპატიო სამღვდელოების მიერ მთელი ესფერების თანდასწრებით, ფოთის ამომრჩევლების წართმევის და გეგეჭკორის ცენზის არ აღდგენის გამო, გადახდილ იქნა სამადლობელი პარაკლისი. ჩემის მეთაურობით შესდგა დეპუტაცია და ახალი რიცხვის წარსულათ გასაღების გამო მადლობა გამოეცხადა ჩვენს მფარველს კომისიის თავმჯდომარეს.

გიორგი.

დღევანდელი (17 ოქტ.) ცერემონიალი.[2])

მამულიშვილნო! დღეს ჩვენი „ყოფნა არ ყოფნის დღეა“ არავინ დადგეთ

[1]) შეკრებილი ცნობებიდან სჩანს რომ ბ-ნ გველესიანისს სდგურობს ბ-ნი ფეოდოროვი. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

[2]) ესე ბერათი წუხელის შემოხვეთ, ბაქარის თამაშობის დროს, ბ-ნ ტაცა მდივანს ჯიბიდან ამოვარდნია—კლუბის მსახურმა ჩვენ გადმოგვცა.

2852
1912

სახლში—სამშობლო განსაკთელშია თქვენის მონაწილეობით დამტკიცეთ, რომ თქვენში ქართველური სისხლი სჩქეფს. საათის ათზე ყველამ სობოროში მოიყარეთ თავი—პირველათ გადახდილ იქნება სამადლობელი პარაკლისი გეგეჭკორის ცენზის წართმევისა და ფოთის არჩევნების გაუქმების გამო (ეს დიადი გამარჯვებაა ამითი ჩვენ ათიათას მუშას, გლეხს და მდაბიო მოქალაქეს უფლება წავართვით.) შემდეგ გადავიხდით საველრებელ პარაკლის რათა ღვთის მშობელმა მისი წილხდომილი საქართველო უდეპუტატოთ არ დატოვოს და სადეპუტატო სავარძელი მის მავედრებელ კიტა აბაშიძეს მომადლოს. ტაძრიდან ,,პარიჟელი საქართველოს'' დროშით (რომელიც ხელთ ეჭირება ჩვენს ბელადს წმინდა გიორგის სეხნიას.) საპატიო სამღვდელოების თან ხლებით გავეშურებით უპრავისაკენ. დანოს მიოტი ჩაბარებული აქვს ვარლამ ჭილაძეს—სტრატეგიული ნაწილი გრ. გველესიანს—ყუთთა მტვრევანი (თუ საჭირო დარჩება) მწვანე ქულაჯიან ყოჩს და სხვა და სხვა...

მადლობის გამოცხადება.

ბ-ნო ალმანახის რედაქტორო!

რადგანაც მე არ ვიცი პირადათ მადლობა ვის გამოუცხადო. ამისთვის გთხოვ თქვენი ალმანახის საშვალებით მადლობა გამოვუცხადო იმ პირთ, თუ იმ მიზეზს, რომლის მიზეზითაც ბ-ნმა აზნაურმა წინანდელმა ,,მაცა-მაკამ'' ჩვენს დუქანში ნახარჯი ნისია ყველა გაასწორა და ვინც პატიოსანი სტუმარი მოყავს, ყველას მაგიერათაც ის იხდის. თან არ შეგვიძლია არ დავსძინო, რომ სტუმრების აღფთოვანებულმა ტოსტებმა საქართველო ისე შეგვაყვარეს, რომ მზათ ვართ თუ კიტა აბაშიძე დეპუტატათ აირჩიეს გამარჯვების სადილი (თუ ვახშამი) ყველაზე იაფათ ჩვენ გავაკეთოთ ფოთრათათ.

პატივისცემით: ბახტაძე და მაჭარაძე.

განცხადება.

გვაქვს პატივი ვაცნობოთ ქეშმარიტ პატივცემულ ქართველობას რომ ჩვენ, ქალაქ ქუთაისში, გვაქვს ძალიან აკურატნათ მოწყობილი სამიკიტნო მუდამ გვაქვს სვეჟი ზაკუსკეულობა და ნატურალნი ღვინო.

ვინც ფედერალისტების იამკას მოიტანს ან ვისაც ცაცა მოყვება ვაძლევთ სკიდკას შეიძლება ნისიათაც თუ პ... გვიბძანებს.

პატივისცემით: ბახტაძე; და მაჭარაძე.

მოულოდნელათ გარდაიცვალა ყოფილი პოეტი, ყოფილი პედაგოგი, ყოფილი ხოსანი, ყოფილი წევრი სხვადასხვა კომ-სიისა, ყოფილი „ვინახარ შენის" ავტორი, ყოფილი სადეპუტატო, ყოფილი საქართველოს ბანკირი და აწ პეტერბურგელი ბანკირი, უპროგრესო პროგრესიტი,

თავადი ვლადიმერ მაქელაძე

განსვენებულმა თავისი დროშა უანასყიდლოთ, უაჭროთ გადასცა გიორგი ჟდანოვიჩს. პანაშვიდები ქუთაის და ფოთს ყოველ-დღე.

ელექტრო-სასტუდიო ფერაძისა და კარნაუხოვის, ქუთაისში. გამომცემელი შმიკ.